



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 554 2021 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის 4¹ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ნებისმიერი პირი (მოქალაქეობისა და ამ წესით განსაზღვრული სტატუსის მიუხედავად), რომელსაც ბოლო 14 დღის განმავლობაში უფიქსირდება მოგზაურობის ისტორია „ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნებიდან, საქართველოში შემოსვლისას ექვემდებარება 14-დღიან კარანტინს საკარანტინე სივრცეში, საკუთარი

ხარჯით, გარდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;


ვ.ა) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ქვეყნებს მიეკუთვნებიან: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბოტსვანის რესპუბლიკა, ზიმბაბვეს რესპუბლიკა, ნამიბიის რესპუბლიკა, ლესოთოს სამეფო, ესვატინი, მოზამბიკის რესპუბლიკა, მალავის რესპუბლიკა;

ვ.ბ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ექვემდებარებიან კარანტინს საკარანტინე სივრცეში 14 დღის განმავლობაში, ხოლო მისი დასრულების შემდეგ – ტესტირებას პჯრ მეთოდით (PCR კვლევას);

ვ.გ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქეების ტესტირების კვლევის ხარჯებს ფარავს სახელმწიფო, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში – თავად უცხო ქვეყნის მოქალაქე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 28 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი